საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

4232-01-10-2-201409171556

N 01-10/4232
17/09/2014

სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტოს“ თავმჯდომარეს

ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად გიგზავნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2014 წლის 03 ივნისს გამოცხადებული **№1261** კონკურსის შედეგებსა და თანდართულ დოკუმენტებს, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

დანართი 5 ფურცელი.

იონა წითელაძე

მინისტრის პირველი მოადგილე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №2

ქ. ბათუმი 15 სექტემბერი 2014 წ.

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე - იონა წითელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის მდივანი - გელა ცინცაძე.

კომისიის წევრები: ბესიკ ბოლქვაძე, ნუგზარ ძნელაძე, სულხან მამუჭაძე, მირიან მეტრეველი, ზურაბ ჭურკვეიძე, ზვიად ბურჭულაძე, გიორგი ერმაკოვი (ქალაქ ბათუმის მერი), მამუკა რამიშვილი (ქ. ბათუმის მერიის ურბანული დაგეგმარების განყოფილების უფროსი), რევაზ გოგიტიძე (აჭარის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე), ნათია აფხაზავა (არასამთავრობო ორგანიზაცია - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი), დავით ზოიძე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი, არქიტექტორი).

დღის წესრიგი: ქ. ბათუმში, გმირთა ხეივნის ურბანული განვითარების კონცეფციის საპროექტო სამუშაოების დოკუმენტაციის განხილვა (კონკურსის №1261).

განხილვა: ნუგზარ ძნელაძემ საკონკურსო კომისიის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კორკუნსანტმა: შპს „LIVE DESIGN"-მა და შპს „არქეოსმა". წარმოდგენილი საკონკურსო პროექტები სრულყოფილად არ პასუხობს გმირთა ხეივნისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების საინვესტიციო განვითარების მოთხოვნებს. ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავებისათვის სრულფასოვნად არაა შესრულებული არსებული მდგომარეობის ანალიტიკური კვლევები და შეფასებები.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით განსაზღვრული განაშენიანება ვერ იძლევა ხეივნის ანსამბლური და ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობებს. კონცეფტუალური წინადადებები დაგეგმარებით და სივრცულ-კომპოზიციურ გადაწყვეტის ნაწილში არ შეიცავს სიახლეებს, ამასთანავე ჯეროვნად არ არის წარმოდგენილი საჯარო სივრცეების ზონირებისა და გამოყენების, სატრანსპორტო ნაკადებისა და სარეკრეაციო ზონების განთავსების საკითხები.

დაადგინეს: 1. ვინაიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2014 წლის 03 ივნისს ქ. ბათუმში, გმირთა ხეივნის ურბანული განვითარების კონცეფციის საპროექტო სამუშაოების დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ **№1261** კონკურსში მონაწილეთა საკონკურსო წინადადებები არ აკმაყოფილებდა ტექნიკური დავალების მოთხოვნებს, საკონკურსო კომისიის წევრების გადაწყვეტილებით არ შეფასდა საკონკურსო წინადადებები, არ გამოვლინდა გამარჯვებული და კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

2. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს კონკურსანტებს.

3. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი და თანდართული დოკუმენტები გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: _____ /ი. წითელაძე/

კომისიის მდივანი: _____ /გ. ცინცაძე/

კომისიის წევრები: _____ /ზ. ბოლქვაძე/

_____ /ნ. ძნელაძე/

_____ /ზ. ჭურკვეიძე/

_____ /მ. მეტრეველი/

_____ /ს. მამუჭაძე/

_____ /ზ. ბურჭულაძე/

_____ /გ. ერმაკოვი/

_____ /მ. რამიშვილი/

_____ /რ. გოგიტიძე/

_____ /ნ. აფხაზავა/

_____ /დ. ზოიძე/

ხელწერილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკონკურსო კომისიის წევრთა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2014 წლის 03 ივნისს ქ. ბათუმში, გმირთა ხეივნის ურბანული განვითარების კონცეფციის საპროექტო სამუშაოების დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებულ №1261 კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის თავმჯდომარე: _____ /ი. წითელაძე/

კომისიის მდივანი: _____ /გ. ცინცაძე/

კომისიის წევრები: _____ /ბ. ბოლქვაძე/

_____ /ნ. ძნელაძე/

_____ /ზ. ჭურკვეიძე/

_____ /მ. მეტრეველი/

_____ /ს. მამუჯაძე/

_____ /ზ. ბურჭულაძე/

_____ /გ. ერმაკოვი/

_____ /მ. რამიშვილი/

_____ /რ. გოგიტიძე/

_____ /ნ. აფხაზავა/

_____ /დ. ზოიძე/

15 სექტემბერი 2014 წელი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

4226-01-10-2-201409171516

N 01-10/4226
17/09/2014

შპს „LIVE DESIGN"-ის დირექტორს

ბატონ მირზა ვაშაკიძეს

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკონკურსო კომისიამ განიხილა სამინისტროს მიერ 2014 წლის 03 ივნისს კონკურსის მეშვეობით ქ. ბათუმში, გმირთა ხეივნის ურბანული განვითარების კონცეფციის საპროექტო სამუშაოების დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ **№1261** კონკურსში მონაწილე კონკურსანტების საკონკურსო წინადადებები. საკონკურსო კომისიის წევრების გადაწყვეტილებით არ შეფასდა საკონკურსო წინადადებები, არ გამოვლინდა გამარჯვებული და კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

გიგზავნით საკონკურსო კომისიის ოქმს.

დანართი 2 ფურცელი.

იონა წითელაძე

მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

4225-01-10-2-201409171513

N 01-10/4225
17/09/2014

შპს „არქეოსის“ დირექტორს

ბატონ გიორგი გაბაშვილს

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკონკურსო კომისიამ განიხილა სამინისტროს მიერ 2014 წლის 03 ივნისს კონკურსის მეშვეობით ქ. ბათუმში, გმირთა ხეივნის ურბანული განვითარების კონცეფციის საპროექტო სამუშაოების დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ **№1261** კონკურსში მონაწილე კონკურსანტების საკონკურსო წინადადებები. საკონკურსო კომისიის წევრების გადაწყვეტილებით არ შეფასდა საკონკურსო წინადადებები, არ გამოვლინდა გამარჯვებული და კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

გიგზავნით საკონკურსო კომისიის ოქმს.

დანართი 2 ფურცელი.

იონა წითელაძე

მინისტრის პირველი მოადგილე